

დანართი II წესების პროექტი სამოქალაქო ინტერნირებულთა კოლექტიური დახმარების შესახებ

მუხლი 1

ინტერნირებულთა კომიტეტებს ნებადართული ექნებათ მათ განკარგულებაში მყოფი დახმარების კოლექტიური გზავნილების განაწილება ყველა იმ ინტერნირებულ პირს შორის, რომელიც აღნიშნული კომიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ინტერნირების ადგილის ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული, იმათი ჩათვლით, ვინც საავადმყოფოებში, ციხეებსა ან სხვა გამასწორებელ დაწესებულებებში იმყოფება.

მუხლი 2

კოლექტიური დახმარების გზავნილების განაწილება დონორების მითითებებისა და ინტერნირებულთა კომიტეტების მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელდება. თუმცა, სამედიცინო მასალების შემცველი გზავნილების განაწილება უპირატესად უფროს ექიმებთან შეთანხმებით განხორციელდება; ამასთან, ჰოსპიტლებსა და ლაზარეთებში ამ უკანასკნელებს შეუძლიათ ზემოაღნიშნულ მითითებებს იმ ფარგლებში გადაუხვიონ, რამდენადაც ეს ავადმყოფების მოთხოვნებითაა ნაკარნახევი. ამგვარად დადგენილ ფარგლებში დახმარების განაწილება ყოველთვის სამართლიანად უნდა ხორციელდებოდეს.

მუხლი 3

იმისთვის, რათა ინტერნირებულთა კომიტეტების წევრებს ჰქონდეთ მიღებული ტვირთის ხარისხისა და რაოდენობის შემოწმების და ამ საკითხზე შემომწირველებისათვის დეტალური მოხსენების შედგენის შესაძლებლობა, მათ საშუალება უნდა მიეცეთ გავიდნენ რკინიგზის სადგურებში ან ინტერნირების ადგილის მახლობლად მდებარე დახმარების ტვირთის მიღების პუნქტებში.

მუხლი 4

ინტერნირებულთა კომიტეტებს უნდა მიეცეს საჭირო შესაძლებლობა იმისათვის, რათა დარწმუნდნენ, რომ ინტერნირების ადგილის ყველა ქვედანაყოფსა და ფილიალში კოლექტიური დახმარების ტვირთის განაწილება მათი მითითებების შესაბამისად ხდება.

მუხლი 5

ინტერნირებულთა კომიტეტებს ნებას დართავენ შეავსონ შემომწირველებისათვის განკუთვნილი ბლანკები ან ანკეტები, რომელიც დახმარების კოლექტიურ ტვირთებს ეხება (განაწილება, მოთხოვნილებები, რაოდენობა, ა.შ.), აგრეთვე, დაავალონ ამგვარი ბლანკებისა და ანკეტების შევსება სამუშაო ჯგუფებში ინტერნირებულთა კომიტეტების წევრებს ან ლაზარეთებისა და ჰოსპიტლების მთავარ ექიმებს. სათანადოდ შევსებული ამგვარი ბლანკები და ანკეტები შემომწირველებს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეთ.

მუხლი 6

იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინტერნირების ადგილზე ინტერნირებულთა შორის კოლექტიური დახმარების ტვირთის რეგულარული განაწილება და იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც ინტერნირებულთა ახალი კონტინგენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას, ინტერნირებულთა კომიტეტებს უნდა მიეცეს საშუალება შექმნან და შეინახონ კოლექტიური დახმარების ტვირთის საკმარისი რაოდენობის მარაგი. ამ მიზნით, მათ შესაბამისი საწყობები უნდა გააჩნდეთ, თითოეული საწყობი ორ ბოქლომზე უნდა იკეტებოდეს, ამასთან ერთ-ერთის გასაღები ინტერნირებულთა კომიტეტს უნდა ჰქონდეს, ხოლო მეორე - ინტერნირების ადგილის უფროსს.

მუხლი 7

მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა, კერძოდ კი დამკავებელმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად შესაძლებლობების ფარგლებში, მოსახლეობის სურსათით მომარაგების მარეგულირებელი დებულებების გათვალისწინებით, ნება უნდა დართონ მათ ტერიტორიებზე ინტერნირებულთა შორის დახმარების კოლექტიური ტვირთების განაწილების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ შესყიდვას. ისინი ანალოგიურად ხელს შეუწყობენ ფულადი სახსრების გადაცემას და ტექნიკური ან ადმინისტრაციული ხასიათის სხვა იმ ფინანსური ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია ამგვარი შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 8

ემოაღნიშნული დებულებები ხელს არ უნდა უშლიდეს როგორც ინტერნირებულთა უფლებას, მიიღონ კოლექტიური დახმარების ტვირთი ინტერნირების ადგილზე ჩასვლამდე ან გადაყვანის დროს, ისე მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან ინტერნირებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციის და ამგვარი ტვირთების განაწილებაზე პასუხისმგებელი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლის შესაძლებლობას, უზრუნველყონ მიმღებებს შორის მათი განაწილება ნებისმიერი სხვა ხერხით, რომელსაც ისინი შესაფერისად ჩათვლიან.